

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

მიმართულება – მოცულობითი არქიტექტურა

I კურსი



სტალინური ამპირი და საბჭოთა არქიტექტურა საქართველოში

ხელმძღვანელი : ნინო იმნაძე

ჯგუფი : 2015.1

მაგისტრანტი : ლუკა ცხადაია

თბილისი 2016 წელი

სტალინური ამპირი და საბჭოთა არქიტექტურა თბილისში

არქიტექტურა ხშირად არაცნობიერს ასახავს და როცა ქვეყანაში ტირანია მეფობს, არქიტექტურაც ემსგავსება “ქვაში ნაკვეთ” ტირანიას.

სტალინური ამპირი, არ არის არქიტექტურული სტილი თვითმყოფადი ფორმებით. როგორც, იმავე პერიოდის, ევროპული ტოტალიტარული ქვეყნების არქიტექტურა, მისი მიზანიც იყო სახელმწიფოს ძლევამოსილების ჩვენება და მასებზე იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენა. რასაც ახერხებდა თავისი პომპეზურობით, პარადული მონუმენტალიზმითა და ტოტალური ჰარმონიის შექმნის სურვილით. ამ ტერმინს და ამ პერიოდის არქიტექტურას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ კონტექსტში მოიხსენიებდნენ, განსხვავებული მიზნებისა და ინტერესებისთვის. ასე მოხდა ჩვენს ქვეყანაშიც, როდესაც საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს თუ კონკრეტულ პიროვნებებს პირადი ინტერესებისთვის დასჭირდათ სტალინური არქიტექტურის დაკნინება და მისი უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, როგორცაა მაგალითად: “სოციალისტური იდეოლოგიის პირმშო”. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ რომ ეს პერიოდი იყო ქართული არქიტექტურის მეორედ დაბადება, ერთგვარი დაბრუნება წარსულში, ქართული ისტორიისა და ტრადიციების ახლებურად გადამღერება. რა თქმა უნდა ამ ყველაფერს ახლდა სოციალისტური ფონი, თუმცა ეს ფონი წინა საუკუნეს გაჰყვა და დღეს მხოლოდ ის სიმბოლიკა დაგვიტოვა, რასაც პროგრესული საზოგადოება სხვა თვალით უყურებს.

საქართველოში დროდადრო გაისმოდა მოწოდება, რომ უნდა დანგრეულიყო სტალინური კლასიციზმის ნიმუშები, რომელიც, როგორც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამბობდა, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის ნაწილია. უფრო ახლო წარსულში გვახსოვს საუბარი, ამ პერიოდის შენობებზე, საბჭოთა სიმბოლიკის გამოქსახველი რელიეფების თუ მონუმენტების მოშლაზე. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა ეს არ იყო მხოლოდ საუბარი. ამ შენობებს იცავს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თუმცა წინა ხელისუფლების დროს შეიქმნა თავისუფლების ქარტია, რომლის შემქნელებიც აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა სიმბოლიკის მოშლაზე და რეალურადაც განახორციელეს რამდენიმე მათგანის დემონტაჟი. ამ მხრივ საქართველო არ არის მარტო, მსგავსი დისკუსიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულა, სადაც სურდათ ისტორიიდან “შავი ლაქების” წაშლა. ამ თემაზე ცნობილი გერმანელი კულტუროლოგი დიტელ აქსელ ჰოფმანი თავის მოსაზრებას გამოთქვამს:

“საკუთარი წარსულისა და მოგონებების განზოგადება არ შეიძლება არგუმენტი იყოს არქიტექტორისთვის. ადამიანებმა თავისი თანაქალაქელების წარსულსა და მოგონებებზე უნდა იფიქრონ. მოგონებები კი ყველას განსხვავებული გვაქვს”

ქართულ რეალობასთან უფრო ახლოსაა ფილოსოფოსი ლაშა ბაქრაძის სიტყვები:

“ეს არის სრულიად კომკავშირული დამოკიდებულება! ისევე როგორც კომუნისტები ანგრევდნენ ეკლესიებს, ხსნიდნენ ჯვრებს და მათ მაგივრად ვარსკვლავებს კიდებდნენ, ზუსტად იგივე მეორდება ახლა. ეს არის ყველაზე ნათელი მაგალითი როგორ კომუნისტურად ვაზროვნებთ დღემდე, რომ ასეთი მეთოდებით გვინდა წავშალოთ ჩვენი ისტორია”

არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილი, უმრავლესობა, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს შენობები არამხოლოდ ჩვენი ისტორიის ნაწილია და ხელუხლებელი უნდა იყვნენ, არამედ განსაზღვრავს მთლიანად ქალაქის არქიტექტურულ სახეს და დიდ ღირებულებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის.

ქართულ საბჭოთა არქიტექტურას სამ ძირითად ეტაპად ყოფენ. ეს ეტაპები მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ისტორიის განვითარების პირობებთან და მათგან გამომდინარეობს.

პირველი ეტაპი 1921-1932 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში საქართველოში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის ხანა, მსხვილი მრეწველობის შექმნა, მეცნიერების, კულტურის, სპორტის განვითარება. 1925 წელს რეალურად დაისვა საკითხი თბილისის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმის შედგენაზე, მანამდე თბილისში ფაქტიურად არარსებობდა რეგულარული დაგეგმარების მაგალითი (თუ არ ჩავთვლით პლენანოვს), რადგან განაშენიანება მორგებული იყო ლანდშაპტს. იმის გათვალისწინებით რომ ქალაქი სიგძეზე, მდინარე მტკვრის გასწვრივ უნდა განვითარებულიყო საჭირო გახდა სანაპიროზე ჯებირების აშენება და მის ნაპირებზე მაგისტრალის მოწყობა. სამუშაოები 1928 წელს დაიწყო. გადაწყდა ასევე მადათოვის კუნძულის მარჯვნივ მტკვრის ტოტის ამოვსება და ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა. ლავრენტი ბერიას ინიციატივით ამ პერიოდში იწყება ასევე ქალაქის ინტენსიური გამწვანება, მთის ფერდობებზე ტყის გაშენება (წყნეთიდან-მთაწმინდამდე), გამწვანებას არამხოლოდ სარეკრეაციო და ესთეტიური არამედ ჯანსაღი ცხოვრებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ასევე როგორც მომავალ წლებში გამოჩნდა ქალაქის მიდამოებში ტყის გაშენებამ დიდი ნაყოფი გამოიღო და ნიაღვრებისგან ქუჩების დაცვა უზრუნველყო. შედეგად ქალაქის 10000 ჰა ტერიტორიიდან 6500 ჰა გამწვანებული იყო. 1927 წელს გადაწყდა თბილისის ზოოლოგიური ბაღის მშენებლობა, მას დაეთმო ვერის ბაღები და მდინარე ვერეს ხეობა რომლის ფერდობიც, როგორც იმ დროს მიაჩნდათ, შენობების ასაგებად უვარგისი იყო. 1926 წელს გამოცხადდა კონკურსი ქალაქის ერთ-ერთი ახალი რაიონის – ვაკის დასაგეგმარებლად. რომელიც ნელ-ნელა ძირითად საცხოვრებელ რაიონად ყალიბდებოდა. კონკურსში გაიმარჯვა უნივერსიტეტის სტუდენტმა არჩილ ქურდიანმა, რომლის პროექტიც ითვალისწინებდა არამხოლოდ საცხოვრებელ განაშენიანებას, არამედ საზოგადოებრივი, სასწავლო, სპორტული და სხვა დანიშნულებების შენობათა აგებას. ასევე სკვერების და ბაღების შექმნას. ეს კი იმის წინაპირობა იყო რომ ვაკე მალე ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონად გადაიქცეოდა.

რაც შეეხება საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას, მაშინდელ თბილისში მძიმე მდგომარეობა იყო საბინაო პირობების მხრივ, შენობების უმრავლესობა ამორტიზებული იყო. ქალაქის მოსახლეობა კი სწრაფი ტემპით მატულობდა. ამ პერიოდში 300 000 ადამიანი ცხოვრობდა დედაქალაქში და როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა ყოველწლიურად 20 000 სული ემატებოდა.

მშენებლობასთან ერთად აქტუალური იყო შემოქმედებითი მიმართულებები. აშკარა იყო ერთ მხრივ რაციონალისტური და კონსტრუქტივისტული არქიტექტურის გავლენა და მეორე მხრივ ეროვნული ფორმების ძიება, რამაც სულ მალე უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო.

მეორე ეტაპი 1933-1954 წლები. რომელიც თავის მხრივ კიდევ ორად იყოფა ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდები. დავიწყოთ თავიდან, სტალინმა და მისმა მთავრობამ დიდი ბრძოლა გამოუცხადა არქიტექტურულ შემოქმედებით დაჯგუფებებს. ისინი აკრიტიკებდნენ კონსტრუქტივისტებს, ნაწარმოების სოციალური გარემოსგან მოწყვეტაში, ასევე უწუნებდნენ მოკლებულ მონუმენტურობას და არქიტექტურულ ფორმათა არასაზემო ხასიათს.

1933 წლის 14 ოქტომბერს "პრავდაში" გამოქვეყნდა ცეკას დადგენილება "არქიტექტურული განათლების" შესახებ, რომელშიც ცეკას პოლიტიბიურო, საბჭოთა კავშირის "არქიტექტურის აკადემიის" შექმნას და "სოციალისტური ქალაქების" დაპროექტებას მოითხოვს. დასახელებულია რამდენიმე ქალაქი: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, თბილისი და სვერდლოვსკი. რესპუბლიკებს უბრძანეს არქიტექტორების გაერთიანება და შემოქმედებითი ჯგუფების გაუქმება. სტალინური "რეფორმა" დაიწყო იქ, სადაც კონსტრუქტივიზმის გავლენა ნაკლებად იგრძნობოდა... დაიწყო საქართველოთი. 1934 წლის 15 თებერვალს თბილისში საქართველოს არქიტექტორთა კავშირი შექმნეს.

ფორმალურად ეს იყო შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელსაც არქიტექტორთა ინტერესები უნდა დაეცვა, თუმცა რეალურად ამ გზით სტალინმა სრული კონტროლი დააწესა არქიტექტურაზე.

კრემლი სრულად აკონტროლებდა არქიტექტორთა პირად საქმიანობას. თუ იმ პერიოდის ევროპის სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში გერმანიაში და იტალიაში, არქიტექტორს ჰქონდათ უფლება შეესრულებინათ კერძო დაკვეთები, საბჭოთა კავშირში ასეთი სახის მუშაობა აკრძალული იყო. ამიტომ ვერავინ იტყვის, როგორი იქნებოდა ქართული-საბჭოთა არქიტექტურა, არქიტექტორებს თავად რომ გაეკეთებინათ "სტილის არჩევანი" და ერთიან შემოქმედებით კავშირში არ გაერთიანებულიყვნენ. მათ აერთიანებდათ ერთი მითითება რომლის მიხედვითაც, შენობები უნდა ყოფილიყო **"ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური"** ეროვნულობის ძიება უფრო ადრე დაიწყო და ამ პერიოდში მასშტაბური სახე მიიღო

გამოიხატა სხვადასხვა სახით .მაგალითად :ქართული სატაძრო ორნამენტების გამოყენებით ,ასევე ტრადიციული ქართული საცხოვრებელი სახლის ფორმის თუ დეტალის გადმოღებით .

ომამდე პერიოდში თბილისს უამრავი ბრწყინვალე ნიმუში შეემატა თუმცა მათგანაც შეგვიძლია გამოვარჩიოთ რამოდენიმე. ერთ-ერთი პირველი იმელის შენობაა ,რომელიც სოციალისტური კლასიციზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ნიმუშია. აბრევიატურა “იმელ” რუსული ენიდან მოდის და ნიშნავს “ინსტიტუტ მარქსა, ენგელსა, ლენინა” 1933 წელს ბერიამ გამოაცხადა დახურული კონკურსი სადაც ცნობილი საბჭოთა არქიტექტორები იღებდნენ მონაწილეობას ,გაიმარჯვა ალექსეი შუსევა ,რომელიც იმ ხანად ალბათ ყველაზე სახელგანთქმული არქიტექტორი იყო საბჭოთა კავშირში.მისი შემოქმედება დიდი და კონტრასტებით სავსეა .მისი პროექტებით აგებულია მართმადიდებლური ეკლესია და ლენინის მავზოლეუმი,სტალინისტური კლასიციზმის ნიმუშები და კონსტრუქტივიზმის ნიმუშები. მშენებლობა დაიწყო 1934 წელს და 4 წელს გაგრძელდა .ცნობილია რომ მშენებლობას პირადად ხელმძღვანელობდა ბერია ,რომელიც თითქმის ყოველდღე ესწრებოდა მშენებლობას. მიუხედავად იმისა რომ არქიტექტორი არარის ქართველი ძალიან ოსტატურად მოახერხა უაღრესად ეროვნული და შინაარსით სოციალისტური შენობის აგება. შამნაწილიანი სიმეტრიული შენობის შესასვლელი მთავარი ფასადის ცენტრშია ,რუსთაველს ქუჩის მხრიდან.ამავე ღერძზეა მოთავსებული ნახევარწრიული ფორმის დარბაზი.გვერდითა ფრთები საკმაოდ დაშორებულია ცენტრალურ ნაწილს და შენობის უკანა მხარეს იმნება დიდი შიდა ეზო. მთავარი ფასადი ტიპიური სტალინისტური არქიტექტურის ნიმუშია ,უკანა ფასადზე კი იგრძნობა კონსტრუქტივიზმის გავლენა. შენობის ინტერიერიც და ექსტერიერიც შემკულია ძველი ქართული დეკორის ელემენტებით. მთავარ ფასადს ამშვენებს თამარ აბაკელია ფრიზი სადაც სხვადასხვა კომუნისტურ თემატიკას შევხვდებით(ოქტომბრის რევოლუცია საქართველოში,სოფლის მეურნეობა საქართველოში და სხვ.) 2007 წელს იმდროინდელი კულტურის მინისტრის ბრძანებით და პრემიერის ხელმოწერით ამოღებულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან. სტატუსის მოხსნიდან ერთ კვირაში გაიყიდა და გადაწედა სასტუმრო კემპინსკის აშენება ,რომლის პროექტიც ითვალისწინებდა ისტორიული შენობის იერსახის სრულ ცვლილებას. მალე შენობის ნგრევა ნებართვის გარეშე დაიწყო . სახურავ გადახდილი და ნახევრად დანგრეული იმელის შენობა დღემდე ასეთ მდგომარეობაშია . 2011 წელს კი მის უკანა ეზოში დაიწყო 34 სართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა.

ამ პერიოდში დაიწყო გმირთა მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარება. ლავრენტი ბერიას სურვილი იყო ქალაქის ცენტრი რუსთაველი,სოლოლაკიდან გადმოსულიყო გმირთა მოედანზე და ვაკე და საბურთალო ყოფილიყო სოციალისტური ,კეთილმოწყობილი,სამაგალით უბნები .რაც ერთგვარი სიმბოლო იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვება ბურჟუაზიაზე. 1935 წელს მოედანი უკვე მნიშვნელოვანი სატრასპორტო კვანძის

ფუნქციას ასრულებდა. ამ წელს გადაწყდა მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული კლდოვანი ბორცვის გაჭრა და ამ ადგილას ჩელუსკინელების ქუჩის განვითარება 2 წლის შემდეგ 1937 წელს დასრულდა ჩელუსკინელების ახალი ხიდის მშენებლობა (არქ სევეროვი, ინჟ.ლოვინსკი). მოედნის ტერიტორიაზე 1939 წელს აშენდა 11 სართულიანი „რომელიც არის 100 ბინიანი საცხოვრებელი სახლი(არქ.კალაშნიკოვი) და 1940 წელს ცირკის შენობა (არქ.ნეპრინცევი). ოღნავ მოგვიანებით მოედნის სამხრეთ მონაკვეთში ვარაზისხევის ამოვსების შედეგად გაჩნდა კიდევ ერთი მძლავრი განივი მაგისტრალი.

ამ პერიოდში დაიწყო მეტროს მშენებლობაც. რომლის შექმნის იდეა 30 იან წლებში დაიბადა, მოსკოვის მეტროს გაჩენისთანავე მშენებლობის განსაკუთრებული მხარდამჭერი იყო იმდროინდელი მთავარი არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი, რომელმაც საქალაქო საბჭოს ნებართვით მოსამზადებელი სამუშაოები წამოიწყო 1937-40 წლებში.

ვიქტორ გოცირიძის (ინჟინერი, მშენებლობის მონაწილე) მემუარებში ვკითხულობთ:

“1940 წელს თბილისში, ლენინის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი), იქ, სადაც ახლა ცეკავშირის შენობაა, ვაგზლის მოედანზე - გასტრონომთან, 26 კომისრის რაიონში (ამჟამად ავლაბარი), კინოთეატრის პირდაპირ, გაჩნდა პირველი მწვანედ შეღებილი ღობეები, რომლის იქითაც მიწას ბურღავდნენ, აფეთქებდნენ და სხვა საინჟინრო სამუშაოებს ასრულებდნენ. აქ მეტროს მშენებლობა დაიწყებოდა, ჩურჩულით ამცნობდნენ ერთმანეთს თბილისელები. ...თუმცა 1941 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, სამუშაოები კი არ შეწყვეტილა. არც ღობეები აუღიათ. ...ამიტომ მეტროპოლიტენის ნაცვლად სწრაფი ტემპებით გაგრძელდა თავშესაფრების მშენებლობა”

მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხი კვლავ დაისვა 1951 წელს. იმ დროინდელი გაანგარიშებით, 1970 წელს ქალაქის მოსახლეობა 1 მილიონს მიაღწევდა, შესაბამისად საჭირო იყო შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი სატრანსპორტო სისტემის შექმნა. კონკრეტული ბიძგი მეტროს მშენებლობის საკითხის ადგილიდან დაძვრას მისცა 1951 წელს სტალინის ვიზიტმა ბორჯომში, სადაც მას კანდიდ ჩარკვიანმა წარუდგინა მეტროპოლიტენის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება და ზეპირი თანხმობაც მიიღო.

იმავე წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყების თაობაზე, ბიუჯეტი განისაზღვრა 823.7 მლნ მანეთით.

1966 11 იანვარი - ექსპლოატაციაში ჩაბარდა პირველი რიგის პირველი უბანი (6,3 კმ) ოთხი სადგურით იყო სადგურ ”დიდუბე“-დან სადგურ ”რუსთაველი“-

მდე. თბილისის მეტროპოლიტენი ექსპლუატაციაში შევიდა როგორც მეოთხე მეტროს სისტემა საბჭოთა კავშირში (მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის შემდეგ).

ომის შემდგომ თბილისში ვხვდებით მაღალი კლასის საცხოვრებლებს და საოფისე შენობებს რომლებიც გათვლილი იყო ომგამოვლილი ელიტისთვის ანუ გამარჯვებული თაობისთვის.

მესამე ეტაპი 1955 დან იწყება პირდაპირ კავშირშია ახალი ლიდერის და მთავრობის გამოჩენათან. ნიკიტა ხრუშჩოვმა ფაქტიურად მოსვლისთანავე დაგმო გასული წლების გადაჭარბებულობა. გააკრიტიკა არქიტექტორები რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ეკონომიურობას და დასახა ახალი გეგმა,რომელიც ითვალისწინებდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას,მსხვილი ბლოკებისა და პანელების გამოყენებას ,ასევე ტიპური პროექტების ფართოდ დანერგვას. ამ პერიოდში დაიწყო მაისურად რაიონულ დაგეგმარებაზე მუშაობა ,თბილისში გაჩნდა საცხოვრებელი კვარტლები მაგ: ვაჟა ფშაველა .ტიპიურ პროექტებში არჩევანის უქონლობამ მოსაწყენი ერთფეროვნება გამოიჭვია ,თუმცა აღნიშვნის ღირსია ,რომ მოსახლეობას პირობები გაუმჯობესებული ქონდათ , მაგალითად ყველა ბინაში შევხვდებოდით სველ წერტილს ,რაც წინა პერიოდში ძალიან იშვიათი იყო .ლოგიკური იყო 1959 წელს ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალის გაყვანა. ოდნავ მოგვიანებით 70-80 იანი წლების მიჯნაზე დაიწყო თბილისში ,ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მყოფი საცხოვრებელი რაიონის მშენებლობა , ნუცუბიდის პლატოები რომელიც 700მ სიმაღლეზეა.

ამ სამი ეტაპის განმავლობაში საქართველო განვითარდა უსწრაფესი ტემპებით და განხორციელდა რამდენიმე ისეთი პროექტი ,რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში წარმოუდგენელი ამოცანა იქნებოდა.

ბოლოს არ უნდა დაგვავიწყდეს ,რომ ტოტალური რეჟიმები ესთეტებმა შექმნეს.სტალინი,ჰიტლერი ,მუსოლინი . ცნობილია როგორ უყვარდათ მათ ხელოვნება.

გერმანიაში მცხოვრები ფილოსოფოსი ბორის გროისი თავის წიგნში "სტალინის სტილი" აღნიშნავს, რომ "ტოტალიტარული ხელოვნების" ნიშნები 30-იან წლებში შეერთებული შტატების სახვით ხელოვნებასაც კი დაეტყო და მაგალითად მოჰყავს ტომას ბენტონის, გრენტ ვუდის, ნაწარმოებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "სტალინური ამპირი" მხოლოდ და მხოლოდ კრემლის დაკვეთით არ შექმნილა. ბორის გროისი აზრობს:

"ნუ გვეშინია, ვადიაროთ, რომ სტალინური კულტურა იმ პერიოდის მსოფლიო სტილის ორგანული ნაწილია - ესაა ნეოკლასიციზმის, ისტორიული ციტატების ეპოქა."